სახელმწიფო შესყიდვის შესახებ
ხელშეკრულება №02–02/95

ქ. ბათუმი

14 აგვისტო, 2017 წელი

სახელმწიფო შესყიდვის განხორციელების მიზნით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ს[1]“ ქვეპუნქტისა და „სახელმწიფო აუდიტის სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის IX[1] თავის 36[1] მუხლის მე-7 პუნქტის საფუძველზე, ერთის მხრივ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტრო, შემდგომში - „შემსყიდველი", წარმოდგენილი მინისტრის ლაშა კომახიძის სახით (მისამართი: ქ. ბათუმი, აკ. მამია კომახიძის ქ. №119) და მეორეს მხრივ საჯარო სამართლის იურიდიული პირი - საჯარო აუდიტის ინსტიტუტი (ქ. თბილისი, წმ. ქეთევან დედოფლის გამზ N96) შემდგომში - „მიმწოდებელი“, წარმოდგენილი მისი დირექტორის დავით აზმაიფარაშვილის სახით, შევთანხმდით შემდეგზე:

მუხლი 1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტებები

1.1. „ხელშეკრულება“ - ინსტიტუტსა და დამკვეთს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით.

1.2. „ხელშეკრულების ღირებულება“ - საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს დამკვეთმა ინსტიტუტის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ხარისხიანი შესრულებისათვის.

1.3 „დღე“, „კვირა“, „თვე“ - კალენდარული დღე, კვირა, თვე.

მუხლი 2. ხელშეკრულების საგანი

წინამდებარე ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს ინსტიტუტის მხრიდან შემსყიდველის მიერ წარმოდგენილი პირების:

1. ზაურ ბერიძე - პირადი ნომერი N 61006004193
2. ვლადიმერ ხომერიკი - პირადი ნომერი N 61002004105

2017 წლის 14 აგვისტოდან - 19 აგვისტოს ჩათვლით დაგეგმილ შიდა აუდიტის ტრენინგის შესაბამისი მომსახურების გაწევა (CPVდანაყოფი - 80500000).

მუხლი 3. მხარეთა უფლება - მოვალეობები

3.1. შემსყიდველს უფლება აქვს ხელშეკრულებით განსაზღვრული მომსახურება მიიღოს ჯეროვნად, კეთილსინდისიერად, დათქმულ დროსა და ადგილას.

3.2. შემსყიდველი ვალდებულია გადაუხადოს ინსტიტუტს ხელშეკრულების საფასური ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.

3.3. მიმწოდებელს უფლება აქვს გაწეული მომსახურების სანაცვლოდ მიიღოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების საფასური.

მუხლი 4. ხელშეკრულების ღირებულება და გადახდის პირობები

4.1. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს 300×2= 600 (ექვსასი) ლარს.

4.2. წინამდებარე ხელშეკრულების 4.1. პუნქტით განსაზღვრული თანხა გადაიხდება ხელშეკრულების გაფორმებიდან 10 სამუშაო დღის ვადაში.

4.4. ანგარიშსწორება წარმოებს უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით, მიმწოდებლის მიერ შემსყიდველისათვის მიწოდებული ინვოისის საფუძველზე.

მუხლი 5. მომსახურების გაწევის ვადები და ადგილი

ინსტიტუტი ვალდებულია უზრუნველყოს მომსახურების გაწევა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში შემდეგ მისამართზე: ქ.ბათუმი, 6000, შერიფ ხიმშიაშვილის ქ. N7, იუსტიციის სახლი.

მუხლი 6. ფორსმაჟორი

6.1. წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პასუხისმგებლობა არ დგება დაუძლეველი ძალის მოქმედების შემთხვევაში. მხარეები თავისუფლდებიან პასუხისმგებლობისაგან ვალდებულებების სრული და ნაწილობრივი შეუსრულებლობისათვის დაუძლეველი ძალის მოქმედების შემთხვევაში, რომლის დროსაც შეუძლებელია წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულება.

6.2. თუ დაუძლეველი ძალის მოქმედება გაგრძელდა 15 დღეზე მეტი დროით, მხარეებმა უნდა გადაწყვიტონ ხელშეკრულების გაგრძელების შესაძლებლობა. მხარეთა შეუთანხმებლობის შემთხვევაში დავას განიხილავს სასამართლო.

მუხლი 7. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

7.1. მხარეები პასუხს აგებენ ერთმანეთის წინაშე მათ მიერ ამ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობისათვის ან არაჯეროვნად შესრულებისათვის.

7.2. თუ ერთ-ერთი მხარე არ ასრულებს ან არაჯეროვნად ასრულებს ნაკისრ ვალდებულებას, მეორე მხარე წერილობითი ფორმით აფრთხილებს მას შეასრულოს ხელშეკრულების პირობები.

7.3. ხელშეკრულების ერთი მხარის მიერ ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში, მეორე მხარეს, შესაბამისი გაფრთხილების გაგზავნის შემდეგ, უფლება აქვს ცალმხრივად ვადამდე შეწყვიტოს ხელშეკრულება.

მუხლი 8. ხელშეკრულების ძალაში შესვლა და მოქმედების ვადები

ხელშეკრულება ძალაში შედის მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2017 წლის 31 დეკემბრამდე.

მუხლი 9. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

9.1. არანაირი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შეთანხმების გარდა.

9.2. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს წერილობითი დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

მუხლი 10. დავების განხილვის წესი

მხარეები შეეცდებიან ურთიერთმოლაპარაკების საფუძველზე გადაჭრან წინამდებარე ხელშეკრულებასთან დაკავშირებით წამოჭრილი დავები, ხოლო შეთანმხების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავა განიხილება სასამართლოს მიერ საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 11. დამატებითი პირობები

11.1. არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე თავისი უფლებები ან ვალდებულება გაასხვისოს ან გადასცეს მესამე პირებს.

11.2. მხარეები თანხმდებიან, რომ ის ურთიერთობანი, რომელიც არ იქნება რეგულირებული წინამდებარე ხელშეკრულებით, რეგულირებული უნდა იყოს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

11.3. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორ თანაბარ იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეული ეგზემპლარი ინახება ხელშეკრულების მხარეებთან.

მხარეთა ხელმოწერები

„შემსყიდველი"

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
სოფლის მეურნეობის სამინისტრო
ქ. ბათუმი, აკ. მამია კომახიძის ქ. №119
საიდენტიფიკაციო კოდი: 245428265

„მიმწოდებელი"

სსიპ - საჯარო აუდიტის ინსტიტუტი
მისამართი: ქ. თბილისი, წმ. ქეთევან დედოფლის გამზ N96;
საიდენტიფიკაციო კოდი: 206350312
მიმღების ბანკი_ სახელმწიფო ხაზინა;
მიმღების დასახელება _ ხაზინის ერთიანი ანგარიში;
ბანკის კოდი _ TRESGE22;
მიმღების ანგარიში/სახაზინო კოდი _ 707727122

ლაშა კომახიძე
მინისტრი

დავით აზმაიფარაშვილი
საჯარო აუდიტის ინსტიტუტის დირექტორი